ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტსა

და

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის თბოენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის დეპარტამენტს შორის

მემორანდუმის მხარეები

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი, ინსტიტუტის დირექტორის, ნუგზარ ყავლაშვილის სახით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის თბოენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის დეპარტამენტი, დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ნათია არაბიძის სახით, რომლებიც შემდგომში იწოდებიან „მხარეებად", ახალი ტექნოლოგიების დამუშავების სფეროში, ურთიერთანამშრომლობის ინტერესებიდან გამომდინარე, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1.1. მხარეები ახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს მზის თბური კოლექტორიანი თბური ტუმბოს ექსპერიმენტული დანადგარის შექმნისა და გამოკვლევის შესახებ.

1.2. მხარეები აქტიურად თანამშრომლობენ პერსპექტივაში მზის თბური კოლექტორებით აღჭურვილი თბური ტუმბოს დანადგარების თანამედროვე ენერგოდამზოგი ტექნოლგიების გამოყენების შესწავლის საკითხებში.

მუხლი 2

2.1. მხარეებს შორის შემდგომი თანამშრომლობა განხორციელდება წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე.

2.2. წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის თბოენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის დეპარტამენტი იღებს ვალდებულებას გადასცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტს დროებით სარგებლობაში (ერთი წლის ვადით) მზის თბური კოლექტორი შემდეგი მახასიათებლებით: კოლექტორის ფართი - 0,7 კვადრატული მეტრი; წყალშემკრები ავზის (ბოილერი) მოცულობა - 0,22 კუბური მეტრი.

2.3. სამეცნიერო კვლევის შედეგების გამოქვეყნება მოხდება ერთობლივად.

2.4. წინამდებარე მემორანდუმი არ ითვალისწინებს მხარეთა შორის ურთიერთ ფინანსურ ვალდებულებებს.

მუხლი 3

3.1. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედია 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

3.2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დარღვევა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის მიერ წერილობითი განცხადების საფუძველზე.

3.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქალაქ თბილისში 2023 წლის *18 აპრილს* ორ ეგზემპლიარად.

3.4. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესრულებაზე პასუხისმგებლები არიან:

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის თბოენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის დეპარტამენტის მხრიდან, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნათია არაბიძე;

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის მხრიდან, ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ნუგზარ ყავლაშვილი.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის თბოენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის დეპარტამენტის მხრიდან	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის მხრიდან
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #77, კორპუსი 8. ტელ.:599 43 81 51 Email: arabidze.natia@yahoo.com	მისამართი: თბილისი, მინდელის ქ. #10 ტელ.: 599-51-21-28 Email: nkavlash@gmail.com
დეპარტამენტის ხელმძღვანელი	დირექტორი
_____ ნათია არაბიძე	_____ ნუგზარ ყავლაშვილი
გ.ა.	გ.ა.